



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი #2
საქმიანობა, 2020 წელი

შეხვედრა სოფელ ცინარეთში სოფელი აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში



მოსახლეობა
184 ადამიანი



დისტანცია შუახევის დაბასთან
12 კმ



ზღვის დონიდან
850მ

აჭარის ულამაზეს მთებში მიმალული სოფელი ცინარეთი იქ მისულ სტუმარს აჯადოებს მომხიბლველი ბუნებით და გულდია, იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობით.

აქ ყველაფერი სასიამოვნოდ მოჩანს, სანამ ადგილობრივი მოსახლეობა არ მოგიყვებათ ყოველდღიური პრობლემების შესახებ, რაც წყლის მოწოდების გაუმართაობის შესახებ თემით იწყება. არსებული მცირე ინფრასტრუქტურა, რითაც აქაურები სარგებლობენ, არაა საკმარისი და როგორც გვიყვებიან ზამთარში თოვლსაც კი აღნობენ წყლის მარაგის შესავსებად.

უხუცესები იმასაც ყვებიან, რომ სოფელი ერთობლივი ძალებით ახერხებს წყლის მოწოდების ინფრასტრუქტურის დაზიანებების აღმოფხვრას და ამაში ქალებიც აქტიურად არიან ჩართულები, რადგან სწორედ ისინი არიან წყლის ძირითადი მომხმარებლები სახლში, თუ შინაური ცხოველების მოვლისას.

აჭარის დაბების და სოფლების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამის პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე დამსწრეებმა გულისყურით მოისმინეს პროგრამის შესახებ და ერთსულღვნად ითხოვეს, პროგრამაში ჩართვა, რათა მომავალში ქონდეთ სუფთა, სასმელად ვარგისი, საკმარისი რაოდენობის წყალი.

ადგილობრივებს სურთ, რომ ახალგაზრდა თაობა დარჩეს სოფელში და სოფელში არ შეწყდეს მათი ხალისიანი ჟრიალი. სკოლაც საჭიროებს წყლით უზრუნველყოფას და როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, თუ საჭირო იქნება მთელი სოფელი მობილიზდება და ფიზიკურადაც იმუშავებს.

სოფელს სხვა პროექტებში მონაწილეობის გამოცდილებაც აქვს და ახლაც მზადაა იყოს ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე. ისინი მიესალმებიან პროგრამას და გამოთქვამენ მზაობას გაიზიარონ პროგრამის ძირითადი პირობები, როგორცაა - მრიცხველების მოწყობა, ტარიფის შემოღება და წყალარინების სექტიკური ავზების მოწყობა, რათა მოქცეულიყო კომუნალური სისტემა, ევროპული სტანდარტით მოწყობილი სისტემით ჩანაცვლდეს.

სოფელში პროგრამაში მონაწილეობისთვის დაასახელა საინიციატივო ჯგუფის წევრები და გამოთქვა ინტერესი, ჩაერთოს ყველა დაგეგმილ შეხვედრაში, თუ ტრენინგებში. პროგრამის ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფები აჭარის 46 სოფელშია შექმნილია, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. საინიციატივო ჯგუფების მიზანია, მოსახლეობა უფრო აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში.

ევროკავშირის, KfW ბანკის და საქართველოს მთავრობის აღნიშნული პროგრამა სოფლებში განვითარების და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

გულნაზ სურმანიძე

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საკონსულტაციო კომპანია MACS-ის სოციალური ექსპერტი



ზოგადი ინფო ნებისმიერი საინფორმაციო ბიულეტენისთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანდაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრებით. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

Ajara Rural Water and Wastewater Treatment Programme

Newsletter N2
2020 September

TSINARETI

VILLAGE IN AJARA, IN THE MUNICIPALITY OF SHUAKHEVI



Population
184



The distance from Shuakhevi Daba
12 KM



Altitude
850M

The village of Tsinareti, hidden in the beautiful mountains of Ajara, enchants the visitor with its charming nature and generous local citizens.

Everything here looks nice until the locals start telling you about the daily problems which deal with the topic of water supply malfunction. The existing small infrastructure that the locals rely on is not enough and, as we are told, they even melt snow in winter to replenish the water supply.

The elders also say that the villagers work together to repair the damage to the water supply infrastructure; women are actively involved in this, as they are the main users of water at home or in the care of cattle.

At the first information meeting in the frame of the Rural Water supply and Wastewater Treatment Programme-Ajara, the participants listened attentively and unanimously asked to be included in the programme to have clean, drinkable, sufficient water in the future.

The locals want the young generation to stay in the village and keep the village full of noises of their laughter and fun. The school also needs water. As the principal says the whole village will be mobilized and do physical work if needed.

The village is experienced in participating in other projects and is now ready to be one of the successful participants. They welcome the programme and express their readiness to share the basic terms of the programme, such as the installation of water meters, introduction of tariffs and the arrangement of septic tanks to replace the outdated utility system with the European standard system.

The village nominated members for the initiative group to participate in the programme and expressed interest in taking part in all planned meetings or trainings. Within the framework of the programme, initiative groups have been established in 46 villages of Ajara; this number will increase even more. The task of the initiative groups is to involve the population more actively in the implementation of the programme.

The programme funded by the European Union, KfW Bank and the Government of Georgia creates new opportunities for the rural development and improvement of the sanitation conditions in general.

Gulnaz Surmanidze

Social expert of MACS, JSC "Adjara Water Alliance" consulting company.



General Information for any Informative Bulletin

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Bank and the EU funds. The Programme aims to create the modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance". The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent. The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is the unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge